

შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფის
კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

<i>კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>2</i>
<i>კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>3</i>
<i>კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის</i>	<i>4</i>
<i>კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>5</i>
<i>სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</i>	<i>6</i>

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“-ის ჯგუფის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩავატარეთ „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“-ის ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“-ის ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 3-ზე, რომელიც მიუთითებს რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს მიღებული აქვს ზარალი 925,576 ლარი, ასევე კომპანიამ 2023 წელს შეიცვალა საქმიანობის სფერო და გვემავს სამშენებლო სფეროში განვითარებას. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობითი ანგარიშის საქმიანობის მიმოხილვის ნაწილს (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას), რომელიც მივიღეთ აუდიტის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენს შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაზე, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ავღნიშნავთ, რომ ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობების რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით. რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე ან თუ განმარტებითი შენიშვნებში არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას.

მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს. განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჯგუფის ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომელსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, ჯგუფის ხელმძღვანელობას წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულ ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და თუ შესაძლებელია წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

ხელმძღვანელობასთან წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაჭონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობითი ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და


კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის გიორგი გაბათაშვილი.

გიორგი გაბათაშვილი SARAS-A-923705

შპს „ლიდ აუდიტი“-ს სახელით

30 სექტემბერი 2024 წელი



შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<u>შენიშვნა</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	11	322,115	10,688,127
გადახდილი ავანსები	12	11,597	182,711
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	13	-	21,610,613
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	14	1,996	1,776,715
წინასწარ გადახდილი გადასახადები	15	63,297	309,749
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	3,331
სულ მიმდინარე აქტივები		399,004	34,571,245
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	16	3,691,541	63,996
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,691,541	63,996
სულ აქტივები		4,090,546	34,635,241
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	17	4,025,439	20,229,502
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		7,139	3,216
მიღებული ავანსები	18	-	91,695
მოკლევადიანი სესხები	19	3,647,000	5,944,400
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,679,579	26,268,812
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	11,029,887
დაგროვილი მოგება/ზარალი	22	(3,584,477)	(2,669,235)
სულ მოვლობელების კაპიტალი		(3,584,477)	8,360,652
არამაკონტროლებელი წილი		(4,557)	5,778
სულ საკუთარი კაპიტალი		(3,589,033)	8,366,429
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,090,545	34,635,241

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

შპს "გლობალური სავაჭრო ჯგუფი"
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

აქტივები	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	12	320,314	10,683,067
გადახდილი ავანსები	13	11,597	182,711
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14	-	21,610,613
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	15	6,855	1,776,715
წინასწარ გადახდილი გადასახადები	16	65,213	309,922
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	3,331
სულ მიმდინარე აქტივები		403,978	34,566,357
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	17	3,691,541	60,179
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში	18	3,000	3,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,694,541	63,179
სულ აქტივები		4,098,519	34,629,536
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	19	4,025,439	20,229,447
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები		-	3,121
მიღებული ავანსები	20	-	91,695
მოკლევადიანი სესხები	21	3,647,000	5,944,400
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,672,439	26,268,663
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	21	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	22	-	11,029,887
დაგროვილი მოგება/ზარალი		(3,573,920)	(2,669,013)
სულ საკუთარი კაპიტალი		(3,573,920)	8,360,874
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,098,519	34,629,536

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:



შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

**კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით**

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<u>შენიშვნა</u>	<u>31 დეკემბერი</u> <u>2023 წელი</u>	<u>31 დეკემბერი</u> <u>2022 წელი</u>
შემოსავალი ძირითადი საქმიანობებიდან	6	25,425,569	46,357,887
სხვა საწარმოო შემოსავლები	6	-	333,976
სულ საოპერაციო შემოსავლები		25,425,569	46,691,864
თვითღირებულება	7(a)	(26,504,719)	(46,519,078)
პერსონალის დანახარჯი	7(b)	(136,846)	(124,169)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	7(c)	-	(3,007,891)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	7(d)	(148,011)	(72,835)
სულ საოპერაციო ხარჯები		(26,789,576)	(49,723,972)
მოგება ან ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(1,364,007)	(3,032,109)
ფინანსური შემოსავლები	8	210,256	15,533
ფინანსური დანახარჯები	9	(229,233)	(164,268)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი		(4,301)	-
წმინდა ზარალი/შემოსავალი საკურსო სხვაობიდან		460,434	545,950
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		2,560	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	10	(1,286)	(34,564)
-		438,431	362,651
მოგება დაბეგრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე		(925,576)	(2,669,458)
მოგების გადასახადის სარგებელი/ხარჯები წლის მოგება		-	-
მოგება დაბეგრის შემდეგ		(925,576)	(2,669,458)
სხვა სრული შემოსავალი:			-
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(925,576)	(2,669,458)
განეკუთვნება მფლობელს		(915,241)	(2,669,235)
არამაკონტროლებელი წილი		(10,335)	(222)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

შპს "გლობალური სავაჭრო ჯგუფი"
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<u>შენიშვნა</u>	<u>31 დეკემბერი 2023 წელი</u>	<u>31 დეკემბერი 2022 წელი</u>
შემოსავალი ძირითადი საქმიანობებიდან	6	25,334,062	46,357,887
სხვა საწარმოო შემოსავლები	6	-	333,976
სულ საოპერაციო შემოსავლები	-	25,334,062	46,691,864
თვითღირებულება	7(a)	(26,406,137)	(46,519,078)
პერსონალის დანახარჯი	7(b)	(127,846)	(124,169)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	7(c)	-	(3,007,891)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	7(d)	(143,466)	(72,390)
სულ საოპერაციო ხარჯები		(26,677,449)	(49,723,528)
მოგება ან ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(1,343,388)	(3,031,664)
ფინანსური შემოსავლები	8	210,256	15,533
ფინანსური დანახარჯები	9	(229,233)	(164,268)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი		(4,252)	-
წმინდა ზარალი/შემოსავალი საკურსო სხვაობიდან		460,434	545,950
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10	2,560	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	11	(1,286)	(34,564)
მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე		438,481	362,651
მოგების გადასახადის სარგებელი/ხარჯები წლის მოგება		(904,907)	(2,669,013)
მოგება დაბეგვრის შემდეგ		(904,907)	(2,669,013)
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(904,907)	(2,669,013)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს .

დირექტორი: 

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	31/12/2023	31/12/2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	31,805,338	53,355,684
მოძრავი საშუალებების გადხადილი ფულადი სახსრები	(16,992,923)	(42,631,873)
დასაქმებულებზე გადხადილი ფული	(184,155)	(154,680)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(7,723,027)	(18,560,114)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სხვა ფულადი სახსრები	-	1,664,243
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(58,386)	(30,030)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6,846,847	(6,356,770)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,673,071)	(51,719)
მიღებული პროცენტები	210,256	15,533
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,462,815)	(36,186)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	14,071,542
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(11,029,887)	(3,035,655)
სესხების აღება	3,800,000	6,369,150
სესხების დაფარვა	(5,776,185)	-
სესხზე გადახდილი პროცენტები	(229,233)	(164,268)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(13,235,304)	17,240,769
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(514,739)	(159,686)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(10,366,011)	10,688,127
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	10,688,127	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	322,116	10,688,127

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

შპს "გლობალური სავაჭრო ჯგუფი"
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	31/12/2023	31/12/2022
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	31,591,528	53,355,684
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(16,803,526)	(42,631,873)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(173,907)	(154,680)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(7,723,027)	(18,560,114)
ბიუჯეტიდან დაბრუნებული გადასახადები	-	1,664,243
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(40,963)	(29,923)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6,850,105	(6,356,663)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,673,071)	(47,886)
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	-	(3,000)
მიღებული პროცენტები	210,256	15,533
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,462,815)	(35,353)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	14,065,542
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(11,029,887)	(3,035,655)
სესხების აღება	3,800,000	6,369,150
სესხების დაფარვა	(5,776,185)	-
სესხზე გადახდილი პროცენტები	(229,233)	(164,268)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(13,235,304)	17,234,769
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(514,739)	(159,686)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(10,362,218)	10,683,067
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	10,683,067	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	320,314	10,683,067

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი: 

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	მფლობელებზე მისაკუთვნიებული საკუთარი კაპიტალი			არამაკონტროლებელი წილი	სულ
	საწესდებო კაპიტალი	განაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ		
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	11,029,887		11,029,887	6,000	11,035,887
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(2,669,235)	(2,669,235)	(222)	(2,669,458)
განაწილებული დივიდენდი			-		-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,029,887	(2,669,235)	8,360,652	5,778	8,366,429
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	(11,029,887)		(11,029,887)	-	(11,029,887)
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(915,241)	(915,241)	(10,335)	(925,576)
განაწილებული დივიდენდი			-		-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(3,584,477)	(3,584,477)	(4,557)	(3,589,034)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	განაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	11,029,887			11,029,887
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(2,669,013)		(2,669,013)
განაწილებული დივიდენდი				-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,029,887	(2,669,013)	-	8,360,874
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	(11,029,887)			(11,029,887)
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(904,907)		(904,907)
განაწილებული დივიდენდი				-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(3,573,920)	-	(3,573,920)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: 

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

ჯგუფი შედგება შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ (მშობელი კომპანია) და მისი შვილობილი კომპანია შპს „გლობალ პეტროლი“-საგან, რომელშიც შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ფლობს 50%-იან წილს. შემდგომში ჯგუფი. ჯგუფის შექმნის თარიღია 25.10.2022.

შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ საიდენტიფიკაციო ნომრით 400329426, შემდგომში „მშობელი კომპანია“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2022 წლის 25 მარტს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „მშობელი კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ალექსი გობრონიძის ჩიხი N3. „მშობელი კომპანიამ 2023 წელს შეიცვალა საქმიანობის სფერო. შეწყვიტა საბითუმო ვაჭრობა ნავთობპროდუქტებით, შეიძინა მიწა მასზე მდგომი შენობა ნაგებობით და გეგმავს მშენებლობის დაწყებას.

შპს „გლობალ პეტროლი“ საიდენტიფიკაციო ნომრით: 405572651, შემდგომში „შვილობილი კომპანია“ დაარსდა 2022 წლის 25 ოქტომბერს. 50%-იანი წილის მფლობელია შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ და ასევე 50%-იანი წილის მფლობელია შპს „ეკოტრანსი“(ს/ნ 404559642). დირექტორები: ივანე მთვრალაშვილი და მალხაზ საღირაშვილი. „შვილობილი კომპანიის“ საქმიანობაა საბითუმო, საცალო ვაჭრობა ნავთობპროდუქტებით. თუმცა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი საქმიანობა შეჩერებულია.

„ჯგუფის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“-ის დამფუძნებელი და დირექტორია მალხაზ კვარაცხელია.

	ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის, %	2023 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %
მფლობელები		
მალხაზ კვარაცხელია	100%	100%
	100%	100%

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2024 წლის 30 სექტემბერს.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს სტანდარტს. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია: 01.01.2022 წელი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“-ს და მისი შვილობილი საწარმოს შპს „გლობალ პეტროლი“-ს ფინანსურ ანგარიშგებებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები;

საწარმოთა გაერთიანება- აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით შეძენის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კონტროლი „ჯგუფს“ გადაეცემა.

კონსოლიდირებისას გამორიცხული ოპერაციები-შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე შიდაჯგუფური ოპერაციებიდან წარმოშობილი ნებისმიერი არარეალური შემოსავალი და ხარჯი ელიმინირდება.

თუ შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს შეინარჩუნებს პროგნოზირებად მომავალში, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფი შეძლებს აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალურად ფუნქციონირების პროცესში. ამგვარად განსჯისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა ჯგუფის ოპერაციებზე გარე ფაქტორების ზეგავლენა.

2023 წლის განმავლობაში ჯგუფის მთლიანი სრული ზარალი შეადგენს 925,576 ლარს. ჯგუფის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულმა წმინდა ფულადმა სახსრებმა შეადგინა 6,846,847 ლარი. 2022 წლის განმავლობაში ჯგუფის მთლიანი სრული ზარალი შეადგენს 2,669,458 ლარს. ჯგუფის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულმა წმინდა ფულადმა სახსრებმა შეადგინა (-6,356,770) ლარი. მიუხედავად ამისა, ჯგუფის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მართებულია, შემდეგი გარემოებების გამო:

ჯგუფის დამფუძნებელი მზად არის საჭიროების შემთხვევაში დააფინანსო ჯგუფის საოპერაციო საქმიანობა. ასევე ჯგუფმა 2023 წელს შეიძინა მიწის ნაკვეთი და გეგმავს სამშენებლო სფეროში განვითარებას.

4. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

a) უცხოური ვალუტა

„ჯგუფის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას ჯგუფი აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ჯგუფის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი / 1 USD	2.6894	2.7020
ლარი / 1 EUR	2.9753	2.8844
ლარი / 10 AED	7.3227	7.3570
ლარი / 100 RUB	2.9916	3.6770

b) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც პერიოდულად ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება ჯგუფი ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად. მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

ii. ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

ჯგუფის მიერ განსაზღვრულია აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება, რომლის მიღებას მოელის საწარმო ამ აქტივისაგან მისი სასარგებლო გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა იმ დაშვებით, რომ გარკვეული დროის შემდეგ მოხდება აქტივის გაყიდვა, ამიტომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლებია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	წელი
ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	3-10
შენობა ნაგებობები	60
სატრანსპორტო საშუალებები	10

iii. აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და

აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

c) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს. წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდგომარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

d) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების მიხედვით, ფინანსური აქტივი შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც ჯგუფი გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც ჯგუფი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს, მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს: სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ფულად სახსრები და მისი ექვივალენტები.

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულების

შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი შესყიდვისას დისკონტის ან ნამეტი თანხის, აგრეთვე იმ საკომისიო გადასახდელებისა თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. სესხებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში.

აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც ჯგუფმა შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად განიხილება თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს თითოეული თავისი ფინანსური აქტივის გაუფასურებას.

საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში მოგებაში ან ზარალში. სესხები და მისაღები ანგარიშები მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების პერსპექტივა არ არსებობს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. ჯგუფი თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება თავდაპირველი ღირებულებით. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს და სესხის მიღების ვალდებულებებს.

აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

e) გადასახადები

i. მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ჯგუფი იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი ჯგუფის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

ჯგუფის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii. დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

iii. საშემოსავლო გადასახადი

ჯგუფი იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

f) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

გ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად ჯგუფს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხების განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება, როგორც ფინანსური ხარჯი.

h) შემოსავლები

ჯგუფი შემოსავალს იღებს საქონლის (ნავთობპროდუქტების) რეალიზაციიდან.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდების და უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

i) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

j) ხარჯები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

კ) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შენიშვნა 6

შემოსავალი ძირითადი საქმიანობებიდან	2023	2022
შემოსავალი ნავთობპროდუქტების რეალიზაციიდან	25,425,569	46,357,887
<u>სულ ჯამი</u>	<u>25,425,569</u>	<u>46,357,887</u>
სხვა საწარმოო შემოსავლები		
შემოსავალი ზეთის რეალიზაციიდან	-	333,976
<u>სულ ჯამი</u>	<u>_____ -</u>	<u>333,976</u>

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 7(a)	2023	2022
თვითღირებულება		
გამოყენებული ნედლეული მასალა	24,977,959	44,866,941
ხელფასის ხარჯი	87,041	73,675
მარაგების დანაკლისი	196,739	
საწვავის შენახვის დანაკარგი	61,216	
დანაკარგი გადაზიდვებისას	17,015	91,752
ტრანსპორტირების ხარჯი	-	885,452
საიჯარო ქირა	1,162,397	594,588
კომუნალური ხარჯი	2,353	6,670
სულ	26,504,719	46,519,078
შენიშვნა 7(b)	0	-
პერსონალის ხარჯი	2023	2022
შრომითი გასამრჯელო	136,846	124,169
სულ	136,846	124,169
შენიშვნა 7(c)		
მარაგების გაუფასურების ხარჯი		
ბენზინის გაუფასურების ხარჯი	-	3,007,891
სულ	-	3,007,891
შენიშვნა 7(d)		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	2023	2022
საპენსიო ხარჯი	2,557	2,109
დაზღვევის ხარჯი	6,041	1,243
საკონსულტაციო ხარჯი	28,339	9,939
ცვეთის ხარჯი	10,430	1,207
საგადასახადო ხარჯი	34,630	251
ტვირთის ინსპექტირების მომსახურება	-	12,509
სამეურნეო ხარჯი	51,007	18,868
საბანკო ხარჯი	4,896	21,897
სატრანსპორტო ხარჯი	2,154	
თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება/ ტრენინგები	900	
სხვა ხარჯი	7,055	4,813
სულ	148,011	72,835

შენიშვნა 8		
ფინანსური შემოსავლები	2023	2022
საპროცენტო შემოსავლები	210,256	15,533
სულ ჯამი	210,256	15,533

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 9

ფინანსური დანახარჯები	2023	2022
საპროცენტო ხარჯები	226,983	164,268
გარანტიის საპროცენტო ხარჯი	2,250	
<u>სულ ჯამი</u>	<u>229,233</u>	<u>164,268</u>

შენიშვნა 10

სხვა არასასაოპერაციო ხარჯი	2023	2022
ჯარიმა/საურავების ხარჯი	1,286	34,564
<u>სულ ჯამი</u>	<u>1,286</u>	<u>34,564</u>

შენიშვნა 11

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	31/12/2023	31/12/2022
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	21,223	2,425,806
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	-	8,262,321
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	893	
შეზღუდული ფული (გარანტია)	300,000	
<u>სულ ჯამი</u>	<u>322,115</u>	<u>10,688,127</u>

შენიშვნა 12

გადახდილი ავანსები	31/12/2023	31/12/2022
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	11,597	182,711
<u>სულ ჯამი</u>	<u>11,597</u>	<u>182,711</u>

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 13

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31/12/2023	31/12/2022
ბენზინი ნავთობ ბაზებზე	-	23,383,567
დიზელი ნავთობ ბაზებზე	-	1,234,533
სხვა მარაგები	-	404
ბენზინის გაუფასურება	-	(3,007,891)
<u>სულ ჯამი</u>	<u>-</u>	<u>21,610,613</u>

შენიშვნა 14

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,996	1,776,715
<u>სულ ჯამი</u>	<u>1,996</u>	<u>1,776,715</u>

შენიშვნა 15

წინასწარ გადახდილი გადასახადები	31/12/2023	31/12/2022
წინასწარ გადახდილი გადასახადი ბიუჯეტში	63,297	309,749
<u>სულ ჯამი</u>	<u>63,297</u>	<u>309,749</u>

შენიშვნა 16 ძირითადი საშუალებები

დასახელება	მიწა	შენიშვნა- ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კუთილმოწყობა	ჯამი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-
შემოსვლა 2022 წელს	-	-	8,409	19,732	33,575	3,502	65,219
გასვლა 2022 წელს	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	8,409	19,732	33,575	3,502	61,386
შემოსვლა 2023 წელს	2,350,071	1,323,000					3,673,071
გასვლა 2023 წელს	-	-		(332)	(33,575)	(3,502)	(33,575)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,350,071	1,323,000	8,409	19,401	-	-	3,700,881
ცვეთა გაუფასურება							
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-
დარიცხვა 2022 წლის განმავლობაში	-	-	(197)	(388)	(625)	(14)	(1,207)
გასვლა 2022 წლის განმავლობაში	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(197)	(388)	(625)	(14.13)	(1,223)
დარიცხვა 2023 წლის განმავლობაში	-	(5,860)	(1,124)	(1,798)	(1,672)	(52.19)	(10,430)
გასვლა 2023 წლის განმავლობაში	-	-		27	2,297	66	2,297
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(5,860)	(1,321)	(2,159)	-	-	(9,340)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2022 წელი			-	-	-		-
31 დეკემბერი 2022 წელი	-	-	8,213	19,345	32,950	3,488	63,996
31 დეკემბერი 2023 წელი	2,350,071	1,317,140	7,088	17,242	-	-	3,691,541

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 17

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31/12/2023	31/12/2022
კრედიტორული დავალიანება	4,025,439	20,229,502
სულ ჯამი	4,025,439	20,229,502

შენიშვნა 18

მიღებული ავანსები	31/12/2023	31/12/2022
მიღებული ავანსები	-	91,695
სულ ჯამი	-	91,695

შენიშვნა 19

მიღებული სესხები	31/12/2023	31/12/2022
მოკლევადიანი სესხი	3,647,000	5,944,400
გრძელვადიანი სესხი	-	-
სულ ჯამი	3,647,000	5,944,400

მიღებული სესხები	ვალუტა	31/12/2023	31/12/2022
საქართველოს ბანკი	USD	-	5,944,400
სესხი ფიზიკური პირისგან	GEL	3,647,000	-
სულ		3,647,000	130,534,777

ჯგუფმა 2023 წელს აიღო სესხი ფიზიკური პირისგან, საპროცენტო განაკვეთი 10%, დაფარვის ვადა 2024 წლის 31 დეკემბერი.

ჯგუფს სესხი აღებული აქვს საქართველოს ბანკისგან დოლარში. დაფარვის თარიღი 24/08/2023 წელი. წლიური საპროცენტო განაკვეთია 6 თვიან Term SOFR განაკვეთს დამატებული 5.5%, მაგრამ არანაკლებ 8%-ის.

21. რისკების მართვა

ფინანსური რისკის მართვა

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი” ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე იმყოფება:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

(i) *რისკის მართვის სისტემა*

ჯგუფის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკის მართვის სისტემის დაწესებაზე და გადახედვაზე, ასევე მის განვითარებასა და ზედამხედველობაზე და მფლობელებისათვის მისი მოქმედების შესახებ რეგულარული ანგარიშის წარდგენაზე.

(ii) *საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ჯგუფს ძირითადად წარმოეშვება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან. ხელმძღვანელობა არ ელის, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და შესაბამისად სჯერა, რომ ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია ჯგუფზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და კონტროლების დასადგენად, ასევე რისკის და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების გათვალისწინებით.

(iii) *ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების საშუალებით. ჯგუფის მიერ ლიკვიდურობის მართვის მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, ჯგუფს ყოველთვის ქონდეს დავალიანების შესაბამისი გადახდისუნარიანობა, როგორც ჩვეულ ასევე სტრესულ სიტუაციაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების თავიდან აცილებითა და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ჯგუფს არ აქვს ლიკვიდური რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს წარმოექმნება ლიკვიდურობის პრობლემები, შეუძლია მოიპოვოს დაფინანსება მისი მფლობელისგან.

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში
 (iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ჯგუფი არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას, მოგება ან ზარალში ვოლეტარულობის სამართავად.

(v) სავალუტო რისკი

ჯგუფის წინაშე არსებობს სავალუტო რისკი, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის რომლებითაც ამონაგები, შესყიდვები და სესხები დენომინირებული და ჯგუფის სამუშაო ვალუტას შორის. ჯგუფს აქვს განფენილობა სავალუტო რისკის მიმართ ამონაგებთან, შესყიდვებთან და სესხებთან მიმართებით, რადგან ისინი დენომინირებულია ვალუტაში, რომელიც განსხვავდება ჯგუფის სამუშაო ვალუტისგან.

ჯგუფის უცხოური ვალუტის რისკი არის შემდეგნაირად გამოხატული ეროვნულ ვალუტაში:

ჯგუფის უცხოური ვალუტის რისკი არის შემდეგნაირად
 გამოხატული ეროვნულ ვალუტაში:

	31/12/2022			
	USD	AED	RUB	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	338,397			338,397
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	3,498,021	4,763,518	782	8,262,321
მოკლევადიანი სესხები	-5,944,400			-5,944,400
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-20,152,646			-20,152,646
წმინდა განფენილობა	-22,260,628	4,763,518	782	-17,496,328

	31/12/2023		
	USD	EUR	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	81		81
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	1	893	893
მოკლევადიანი სესხები	0		0
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-4,009,626		-4,009,626
წმინდა განფენილობა	-4,009,544		-4,008,652

22. კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრისათვის ჯგუფის საკუთარმა კაპიტალმა შეადგინა (-3,384,477) ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის ჯგუფის საკუთარმა კაპიტალმა შეადგინა 8,360,652 ლარი.

23. პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია ჯგუფის დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან 3 წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ ჯგუფის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

24. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	უმაღლესი ხელმძღვანელი	შვილობილი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე
განხორციელებული ინვესტიცია ნაშთი 31.12.2023	-		-	-
კაპიტალის შემცირება	11,029,887	-	-	-
შრომის ანაზღაურება	-	91,249	-	-
დებიტორული დავალიანების ნაშთი 31/12/2023	-	-	-	-
განხორციელებული რეალიზაცია 2023 წლის განმავლობაში	-	-	-	6,960,875

შპს “გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	უმაღლესი ხელმძღვანელი	შვილობილი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე
კაპიტალის შევსება	14,071,542	-	-	-
კაპიტალის შემცირება	3,035,655	-	-	-
შრომის ანაზღაურება	-	84,333	-	-
დებიტორული დავალიანების ნაშთი 31/12/2022	-	-	-	841,982
განხორციელებული რეალიზაცია 2022 წლის განმავლობაში	-	-	-	22,886,980

25. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი: მალხაზ კვარაცხელია

შპს "გლობალური სავაჭრო ჯგუფი"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	უმაღლესი ხელმძღვანელი	შვილობილი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე
განხორციელებული ინვესტიცია	-	-	3,000	-
კაპიტალის შევსება	14,065,542	-	-	-
კაპიტალის შემცირება	3,035,655	-	-	-
შრომის ანაზღაურება	-	84,333	-	-
დებიტორული დავალიანების ნაშთი 31/12/2022	-	-	-	841,982
განხორციელებული რეალიზაცია 2022 წლის განმავლობაში	-	-	-	22,886,980

25. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი: მალხაზ კვარაცხელია



2023 წლის ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“

ს/კ-400329426

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი

მალხაზ კვარაცხელია

თარიღი 30/09/2024

2023 წლის ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“

ს/კ-400329426

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები
მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი
პირი - დირექტორი

მალხაზ კვარაცხელია
თარიღი 30/09/2024



შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის:

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს ჯგუფის საქმიანობის განვითარებას და მდგომარეობას, აღწერს ძირითად რისკებს და გზებს როგორ შეიძლება ამ რისკებმა გავლენა იქონიოს ჯგუფის სამომავლო პერსპექტივებზე.

ასახავს ინფორმაციას ჯგუფის ხელმძღვანელი პირების სტრუქტურას და მის შესაბამისობას სუბიექტის მიზნების განხორციელებისთვის.

წარმოადგენს ინფორმაციას ჯგუფის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, აღწერს დასაქმებასთან ადამიანის უფლებებს, პატივისცემას და ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებულ მიდგომებს.

ანგარიში წარმოგიდგენს ჯგუფის საქმიანობის მიმდინარე და სამომავლო გეგმების ინფორმაციას;

აგრეთვე ანალიტიკურ ინფორმაციას იმ რისკებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯგუფის საქმიანობაზე.

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს ჯგუფთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს ჯგუფის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს ჯგუფის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და ჯგუფში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფის“-ის ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გაეხადოთ ჯგუფის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდებაა გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ხარჯების ეფექტურობასა და უმაღლეს ხარისხზე. შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფში“ გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

ჯგუფის შესახებ

შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“ შეიქმნა 2022 წელს, მფლობელი გახდა ერთი ფიზიკური პირი. 2023 წლის პირველ ნახევარში კომპანია ახორციელებდა ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი) შემოტანას იმპორტით და შემდგომ საბითუმო რეალიზაციას. ხოლო 2023 წლის მეორე ნახევრიდან კომპანამ შეიცვალა საქმიანობის სფერო. შეიძინა მიწა და გეგმავს სამშენებლო სამუშაოების დაწყებას.

2022 წელს კომპანიამ დაარსა შპს „გლობალ პეტროლი“ რომლის 50%-იანი წილის მფლობელია. შპს „გლობალ პეტროლი“ ახორციელებდა საწვავის საცალო გაყიდვებს, თუმცა 2023 წლის აპრილიდან მისი ფუნქციონირებაც შეწყდა. ჯგუფის შექმნის თარიღია 25.10.2022

ჯგუფი ცდილობს მაქსიმალურად აუწყოს ფეხი ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალ და მზარდ ტენდენციებს, რაც მიზნად საქმიანობის ახალ სფეროში წარმატების მიღწევას.

მისი იურ მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ალექსი გობრონიძის ჩიხი, N3.

საქმიანობის მიმოხილვა

2023 წლის პირველ ნახევარში ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენდა ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა. მარაგების ამოწურვის შემდეგ მას აღარ განუხორციელებია იპორტი. და გადაწყვიტა საქმიანობის სფეროს შეცვლა. აღსანიშნავია, რომ 2023 წლისთვის შპს „გლობალ პეტროლი“ შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“-ს შემადგენელი ნაწილია. კომპანია ცდილობს შემოიკრიბოს მის გარშემო პროფესიონალებისგან შემდგარი ჯგუფი, რომ წარმატებით გააგრძელოს მისი შეცვლილი საქმიანობა.

სამომავლო გეგმები

ჩვენი მიზანია, რომ სამშენებლო სფეროშიც ღირსეულად გავაგრძელოთ ფუნქციონირება, როგორც სანდო კომპანიამ. ჩვენი ხედვების გათვალისწინებით მოვახერხოთ თავის დამკვიდრება სამშენებლო ბიზნესში და ჩვენი გეგმების განხორციელება.

მართვა

2023 წელს ჯგუფს მართავდა დირექტორი მალხაზ კვარაცხელია.

ჯგუფის სტრუქტურა შედგება ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულადაა განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები, რომლის სწორად განსაზღვრაზეა დამოკიდებული შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა :

ჯგუფის წილის მფლობელს (პარტნიორს) წარმოადგენს ფიზიკური პირი. პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია კომპანიის წესდებით.

პარტნიორთა კრება ჯგუფის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, პარტნიორი უფლებამოსილია მართოს ჯგუფი, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით.

პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში. დამატებითი დეტალები მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შესახებ მოცემულია კომპანიის წესდებაში.

ჩვენი გუნდი

ჩვენს ჯგუფში დასაქმებული მაღალკვალიფიციური კადრები უზრუნველყოფენ შესრულებული სამუშაოების უმაღლეს ხარისხს.

შპს „გლობალურ სავაჭრო ჯგუფი“- ჯგუფში დასაქმებულია საშუალოდ 4 თანამშრომელი. კანდიდატებიდან, ჯგუფი არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. ჯგუფის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას ჯგუფი ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

ჯგუფი იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი. ასევე ხდება კადრების გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე ჯგუფის მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. ჯგუფი აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე ;

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს „გლობალური სავაჭრო ჯგუფი“- ის ჯგუფი ცდილობს შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის მენეჯმენტის აზრით ფირმის განვითარებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც ობიექტურმა, ასევე სუბიექტურმა რისკ-ფაქტორებმა.

ობიექტური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, რაც ყველა ბიზნესისთვის გადამწყვეტი ფაქტორია. ჯგუფისთვის ასევე მნიშვნელოვანია ბაზარზე არსებული ფასები.

ბიზნესის მოგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ვალუტის კურსის მკვეთრმა ზრდამ. ჯგუფი სარგებლობს საბანკო სესხით, რომელიც ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში (დოლარში). კურსის ცვლილება ბუნებრივია გაზრდის საპროცენტო ხარჯს, რაც უარყოფითად აისახება წმინდა მოგების ციფრზე.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო რეგულაციები, რომელიც უწესდება საზღვარგარეთ თანხის გადარიცხვის პირობებს. ხშირი ბიუროკრატიული და საკანონმდებლო ცვლილებები მოქმედებს ბაზრის სტაბილურობაზე, იწვევს მოთხოვნა-მიწოდების რყევებს და ართულებს ბიზნესის განვითარების პროგნოზს.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორებს, ჯგუფი ორიენტირებულია დანერგოს მენეჯმენტის სწორი მიდგომები, რომელიც შეესაბამება მის საქმიანობას. მიმდინარეობს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების სტანდარტის დასაწესებლად, რაც განაპირობებს თანამშრომელთა უსაფრთხო სამუშაო გარემოს.

ჯგუფი ცდილობს აღმოფხვრას ყველა ის ხარვეზი, რაც გამოიწვევს საწარმოო ციკლის შეფერხებას ან არასწორ აღრიცხვას, მუშაობს კონტროლის მექანიზმების სრულყოფაზე პროდუქციის შექმნიდან მის საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდებისთვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფს არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფს სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის

საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).



ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.


ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.


ფინანსური მაჩვენებლები




მთლიანი სრული შემოსავალი



მთლიანი სრული შემოსავალი




აქტივებისა და ვალდებულებების თანაფარდობა 2023 წელს



■ სულ აქტივები ■ სულ ვალდებულებები

აქტივებისა და ვალდებულებების თანაფარდობა 2022 წელს



■ სულ აქტივები ■ სულ ვალდებულებები